ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1424298

ნომერი: AR1240504

თარიღი : 28.07.2014

გაცემის თარიღი : 18.08.2014

გაცნობის თარიღი : 18.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის საკრებულო , (ნაკვ.7/9) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ რევაზიშვილი პ/ნ 01001025143
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 36 ბ. 71

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.11.2013 წლის #952574 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 28 ივლისს #

AR1240504 განცხადებით მომართა მიხეილ რევაზიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 06.11.2013 წლის #952574 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.11.2013 წლის #952574 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ლისის საკრებულოში (ნაკვ#7/9), შ.პ.ს. ,,AGHABY GROUP"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა საერთო ფართობისა და მასში შემავალი ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 996.5 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 1012.6 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 363.2 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 374.3 კვ.მ.–ს, ხოლო დამხმარე ფართობი 158.8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 163.8 კვ.მ.–ს.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელები შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.11.2013 წლის #952574 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 1012.6 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 374.3 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართობად მიეთითოს 163.8 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.11.2013 წლის #952574 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.